ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მაია ჭანტურიძე

რუსული პროპაგანდის გამოვლინებათა სპეციფიკა ქართულ ონლაინმედიაში

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მანანა შამილიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018 წელი

ანოტაცია

რუსული პროპაგანდის გამოვლინებათა სპეციფიკა ქართულ ონლაინმედიაში

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, იკვლიოს რუსული პროპაგანდის გამოვლინებები ქართულ ონლაინმედიაში. გამოკვეთოს ის ძირითადი გზავნილები, რომელთა მეშვეობით მედიასაშუალებები მკითხველზე ზემოქმედებენ. ანტიდასავლური და რუსული პროპაგანდის კვლევა არახალია. თუმცა, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური ვითარება, სწრაფვა დასავლეთისკენ, ოკუპირებული ტერიტორიები, სწორედ ის მიზეზებია, რომელთა გამოც რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლა აუცილებელია.

ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა იმ მედიასაშუალებების გამოვლენა, რომლებიც რუსული პროგანდის მთავარ გამავრცელებლად გვევლინებიან. ჩვენ ვიხელმძღვანელეთ „მედიის განვითარების ფონდის“ 2017 წლის კვლევით, რომელიც ანტიდასავლურ პროპაგანდას ეხება. ანგარიშის მიხედვით, „საქართველო და მსოფლიო (Geworld.ge)“ და „საქინფორმი“პროპაგანდისტული მესიჯების ონლაინ გავრცელებაში ლიდერობენ. ასევე, საკვლევ მედიასაშუალებებს დავამატეთ "ალტინფო", რადგან ვვარაუდობდით, რომ ვებგვერდზე პრორუსული ორიენტაციის მასალები ქვეყნდებოდა. ამ ონლაინგამოცემებზე დაკვირვება გადავწყვიტეთ, რათა ის გზავნილები და ხერხები გამოგვევლინა, რომელთა მეშვეობით ისინი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ცდილობენ.

ჩვენი ჰიპოთეზით, რუსული პროპაგანდის მთავარი ამოცანა საქართველოში ანტიდასავლური განწყობების გაჩენა და გაღვივებაა. საკვლევ პერიოდად შევარჩიეთ 2018 წლის იანვარი-ივნისი. ამ პერიოდში მოკლესარჩილ ტატუნაშვილი ცხინვალის ციხეში, ერთი წელი გავიდა ვიზალიბერალიზაციიდან, აღინიშნა 17 მაისი - ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასთან და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, გაიმართა ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამის მხარდამჭერი მრავალათასიანი აქციები, რასაც მთავარი პროკურორის, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის გადადგომა მოჰყვა. საინტერესოა, საქართველოსთვის კრიზისულ სიტუაციებში, რა მესიჯებს ავრცელებდნენ

პრორუსული მედიასაშუალებები. 2018 წლის შემაჯამებელი ტენდენციების გამოქვეყნებამდე, ჩვენი ნაშრომი იქნება, ერთგვარი, შუალედური ანგარიში. კვლევაში გამოყენებულია ფრეიმინგის თეორია, კვლევის მეთოდად კი კონტენტ-ანალიზია შერჩეული.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ქართულ ონლაინმედიაში პროპაგანდისტული მესიჯებიინტენსიურად ვრცელდებარამდენიმე მიმართულებით: დასავლეთისა და ევროატლანტიკური სტრუქტურების შესახებ ნეგატიური წრმოდგენის შექმნა;რუსეთის ფედერაციის უალტერნატივობა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობა; საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების მნიშვნელობის გაუფასურების მცდელობა; ლგბტ თემისა და ნარკომომხმარებლების დემონიზება; ექვსთვიანი მონიტორინგის შედეგად, პროპაგანდისტული გზავნილების შემცველი 300-მდე სტატია გამოვლინდა.კვლევის შედეგად, დადასტურდაჰიპოთეზა, რომ რუსული პროპაგანდა, ძირითადად, ანტიდასავლური მესიჯების გავრცელებით ვლინდება.

Anotation

Characteristics of Russian propaganda in Georgian online media

Author: Maia Tchanturidze

The aim of this paper is to research the characteristics of Russian propaganda in Georgian online media. The paper should demonstrate the main messages that help media organisations influence their readers. Much research already exists on this topic, but it remains important to further investigate this crutial issue. The geographical and political location of Georgia,its desire to joinWestern institutions, and the issue of occupied territories all drive the need to fight against Russian propaganda.

The purpose of this research was not to demonstrate the main media publications of Russian propaganda. We used "Media Development Foundation's" report where they have already identified pro-Russian online media organisations - Geworld.ge and Saqinform.ge. We added Altinfo.ge as we supposed this is pro-Russian media as well. We decided to monitor and identify the messages and methods through which they attempt to influence public opinion.

According to my hypothesis, the main purpose of Russian propaganda in Georgia is to revive and develop anti-Western attitudes. For the research period, we took 2018, from January to June. These times includethe brutal murder of ArchilTatunashvili in Tskhinvali; Only one year had passed from visa-liberalisation; May17the international day of fighting against homophobia and transphobia was celebrated with controversy. The case of KhoravaStreet where David Saralidzewas killed was very alarming, people joined the young boy's father demanding justice in the streets and these huge demonstrations led tothe resignation of the Prime Minister and the whole government. The response by the pro-Russian propagandists to these crisis situations is particually instructive. In the research, I used the framing theory to mark the frames of propagandist messages. The method of the research is content analysis.

From January until June 2018, I monitored online publications: GeWorld.ge, Saqinform.geand Marshalpress.ge. The results of the research showed that propagandist messages in Georgian media are usually spread in order to influence the views of Georgians in various directions. These directions include the renewal of diplomatic relationions with Russia, formation of anti-Western attitudes, showing the negative sides of visa-liberalisation in Georgia, and the demonisation of the LGBTQ community. After 6 months of monitoring, I identified about 300 articles containing propaganda.

The research showed that Georgian online publications are active participants in creating negative attitudes towards the West. The hypothesis that Russian propaganda is spread primarily through anti-Western messages was proven.

შინაარსი

თავი I 7

შესავალი 7

ისტორიული კონტექსტი 10

თეორიული ჩარჩო 14

კვლევის მეთოდოლოგია 16

თავი II 19

ლიტერატურის მიმოხილვა 19

- პროპაგანდის ფუნქციონირების მექანიზმები 20
- კვლევები რუსული პროპაგანდის შესახებ 25

თავი III 29

კვლევის შედეგები 29

- „საქართველო და მსოფლიო“ 29
- „საქინფორმი“ 36
- „ალტინფო“ 40

დასკვნა 42

გამოყენებული ლიტერატურა: 45

თავი I

შესავალი

რუსული პროპაგანდა დღითიდღე უფრო აქტუალური და რთულად გადასაჭრელი პრობლემა ხდება. კრემლის საინფორმაციო ომი დემოკრატიული რეჟიმების წინააღმდეგაა მიმართული, თუმცა ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას საქართველოში. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის ფინალურ ანგარიშში, ტერორიზმთან ერთად, ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხედ მიჩნეულია ანტიდასავლური პროპაგანდა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, რუსული საინფორმაციო ომი გასცდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების არეალს და ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც მწვავე პრობლემად იქცა. ამ მოსაზრებას არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კვლევა და ანგარიში ადასტურებს. 2016 წელს ევროპარლამენტმა სპეციალური რეზოლუცია მიიღო რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელშიც აღნიშნა, რომ„კრემლის მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის ერთიანობის რღვევა და სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობის გაფუჭება" (EU Parliament Report,2016). რეზოლუციაში მედიასაშუალებები RT (Russia Today) და Sputnik-ი რუსული პროპაგანდის გამავრცელებელ მძლავრ იარაღებადაა მოხსენიებული. RT პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა და მისი ბიუჯეტი წელიწადში 300 მილიონ დოლარზე მეტია. არხის მისია შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „მთელს მსოფლიოში გადაიცემოდეს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე რუსული თვალსაზრისი“ (ჯულუხიძე, 2018). არხის აუდიტორია 700 მილიონიანია და ის ასზე მეტ ქვეყანაში მაუწყებლობს.

რუსული პროპაგანდა დიდ ადგილს იკავებს ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური დაზვერვის დირექტორის ოფისის 2017 წლის ანგარიშში. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ცრუ ინფორმაციის, კიბერთავდასხმების და არალეგალური დაფინანსების მეშვეობით, რუსეთი მუდმივად ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს გერმანიის, ავსტრიის,

საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის და ჰოლანდიის პოლიტიკურ პროცესებზეც“ (Office of the director of National Intelligence, 2017) .

კრემლის საინფორმაციო ომს, შეიძლება ითქვას, საფუძვლად უდევს გენერალ გერასიმოვის განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ პოლიტიკური მიზნების მიღწევა არასამხედრო, ინფორმაციული გზითაც არის შესაძლებელი. მისივე თქმით, „თანამედროვე რუსეთს იმავე იარაღით შეუძლია გაანეიტრალოს დასავლეთიდან მომავალი საფრთხეები, რითაც ევროპელები და ამერიკელები ცვლიდნენ პოლიტიკურ სისტემებს საქართველოში, უკრაინასა და ჩრდილოეთ აფრიკაში“(Samadasvili, 2015).

2016 წლის რუსეთის საგარეო პოლიტიკის დოქტრინაში პირდაპირ არის გაცხადებული შემდეგი: „რუსეთის მთავარი ამოცანაა, გასწიოს ეფექტური საინფორმაციო კამპანია ყველგან, სადაც რუსული ინტერესები გამოწვევებს აწყდება, ასევე, უზრუნველყოს ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი, რუსეთის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით“ (Foreign Policy Concept of The Russian Federation, 2016).

გარდა მედიასაშუალებებისა, რუსეთი იყენებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, ფონდებს, ანალიტიკურ და კვლევით ორგანიზაციებს. საინფორმაციო ომის ძირითადი ეფექტი არის მიზნობრივი აუდიტორიის ცნობიერების ფორმირება და ქცევის მანიპულირება. კრემლის მოქმედება რამდენიმე მიმართულებად იყოფა: რელიგიური ერთობა, ამერიკანიზაცია, დასავლეთის დემონიზება, ნიჰილიზმი ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებისადმი, ევროკავშირთან და სხვა სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობის გაფუჭება. ისეთი მითების შექმნა როგორებიც უკავშირდება გეი ქორწინებას, მასობრივ მიგრაციას და რუსეთის იმპერიის, როგორც დაუმარცხებელი ძალის იმიჯს.

ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარების და სოციალური ქსელების მომხმარებლების გაზრდის პარალელურად, გაძლიერდა პროპაგანდა, როგორც ონლაინმედიაში, ისე სოციალურ ქსელებში. გარდა ამისა, დაიწყო ფაშისტური მოძრაობების მობილიზაცია, ფეისბუქის მეშვეობით. ფაშისტური მოძრაობების გზავნილები შესაბამისობაში მოდის

საერთაშორისოდ აღიარებული რუსული პროპაგანდის მახასიათებლებთან, კერძოდ მითების შექმნასთან, ეს არის ანტიდასავლური ღირებულებების, ლგბტ თემის და საქართველოში მცხოვრები მიგრანტების დემონიზება. რუსეთის ფედერაცია, ბოლო დროს, განსაკუთრებით, ფართოდ იყენებს ანაზღაურებად კომენტატორთა არმიას, რომელთაც სხვაგვარად „ტროლებს“ უწოდებენ. აღნიშნულ მრავალრიცხოვან ინტერნეტბოტებს პირდაპირ ევალებათ პროსამთავრობო კონტენტის, ანტიდასავლური განწყობებისა და დეზინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა ონლაინ დისკუსიებში. მათი მიზანია სამიზნე აუდიტორიას მიაწოდოს სიმართლისა და ცრუ ინფორმაციის ნაზავი, რომელიც საბოლოო ჯამში გამოიწვევს მათ დაბნევას და იქცევა ამავე სამიზნე ჯგუფზე ზემოქმედების ბერკეტად.

რუსული პროპაგანდის ეფექტიანობა სხვადასხვა კვლევის შედეგების მიხედვითაც შეგვიძლია შევაფასოთ. “თაობა გარდამავალ პერიოდში”- ამ სახელწოდებით ახალგაზრდობის კვლევა 2016 წელს ფრიდრიხ ებერტის ფონდმა ჩაატარა. გამოიკითხნენ 14-29 წლის ახლგაზრდები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ეპოქაში გაიზარდნენ. რაოდენობრივი შედეგების მიხედვით, ახალგაზრდების 74% მხარს უჭერს ევროკავშირში შესვლას. თვისებრივმა ანალიზმა კი აჩვენა, რომ ახლაგზარდებს ევროკავშირზე ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ, რაც უფრო მეტად ზრდის ევროკავშირისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას და არასწორ შეხედულებებს. გამოკითხულთა 52%-ს სჯერა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციას რუსეთის მხრიდან გაზრდილი აგრესია მოჰყვება. ახალგაზრდების 30 % მიიჩნევს, რომ ევროკავშირის წევრობა საფრთხეს შეუქმნის ქართულ იდენტობას.

“ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI)” მიერ2017 წელს ჩატარებული კვლევისმიხედვით, კითხვაზე, მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მიზანი - გახდეს ნატოს წევრი - 65 %-მა დადებითად უპასუხა. აღსანიშნავია, რომ წინა წელს ეს მაჩვენებელი 61% იყო, 2016 წელს კი 68%-ს უდრიდა. ამავე

კვლევაში, 63% მიიჩნევს რომ საქართველოსთვის ყველაზე დიდ საფრთხეს რუსეთი წარმოადგენს.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც არ უცხოვრიათ საბჭოთა კავშირში, სჯერათ, რომ სახელმწიფო პოლიტიკა იმის მიხედვით უნდა ხორციელდებოდეს, რა მოეწონება რუსეთს და რა - არა. როგორც ამ კვლევებიდანაც ჩანს და როგორც წარსულის გამოცდილებამ გვიჩვენა, რუსეთი დიდ გავლენას ახდენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი საგარეო პოლიტიკური ინტერესების, ამოცანებისა და გეგმების სწორად შეფასება, რათა უკეთ გავაცნობიეროთ რა საფრთხეების წინაშე ვდგავართ და შევძლოთ მათი განეიტრალება.

იმის გათვალისწინებით, რომ პროპაგანდის ხარისხის გაზომვა შეუძლებელია, კრემლის საინფორმაციო ომის გზავნილებად მივიჩნევთ იმ პირდაპირ თუ ირიბ გამოვლინებებს, რომელთა შინაარსი ემთხვევა რუსულ იდეოლოგიას.

ისტორიული კონტექსტი

საბჭოთა იმპერიის დაშლისა და მოზღვავებული ეროვნული ენერგიის აფეთქების შედეგად, საქართველო, საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა რესპუბლიკებთან ერთად, გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა. მოვლენების დრამატულად განვითარების გამო, მალე, გამარჯვებულმა ძალამ პოლიტიკური კრახი განიცადა. შეიძლება ვთქვათ, რომ იგი ვერ გაუმკლავდა როგორც შიგნით არსებულ, ისე რუსეთის მიერ გაღვივებულ აგრესიას.

სოციალურ და პოლიტიკურ კრიზის დაემატა ყველა ის პრობლემა, რაც წაგებულ ომს ახლავს თან. განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა დაკარგული ტერიტორიებიდან 300 000 დევნილის უსახლკარობა. ედუარდ შევარდნაძის მიმართ სამჯერ განხორციელდა

ტერორისტული აქტი. თუმცა 1995 წლის ბოლოსთვის მან მოახერხა პოლიტიკური ვითარების სტაბილიზება და საქართველოს სახელით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯების გადადგმა დასავლეთთან დაახლოების მიზნით. ერთ-ერთია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის მილსადენის მშენებლობაში მისი მონაწილეობა. ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად უწევდა დახმარებას აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებას, ამ ფაქტით გაღიზიანებული ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი კი კვლავ განაგრძობდა თავის „მკაცრ“ პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებით. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 2000 წელს მისი გადაწყვეტილება სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით. საქართველო აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა დსთ-ის ქვეყნებიდან, რომელსაც რუსეთმა დაუწესა სავიზო რეჟიმი. ესეც არ იკმარა და საქართველოს ეკონომიკური გაღატაკების გეგმა შეიმუშავა. 2006 წელს დააწესა ემბარგო ქართული პროდუქციის იმპორტზე, (გამოგონილი მიზეზებით, თითქოს ჩვენი ქვეყანა პროდუქციის წარმოების დროს არ იცავდა სანიტარულ ნორმებს). ღვინის, მინერალური წყლების, ხილის და სხვა დასახელების პროდუქტს დაემატა ფეროშენადნობთა იმპორტის აკრძალვაც. შეწყდა, აგრეთვე,საჰაერო მიმოსვლა რუსეთ-საქართველოს შორის. იმავე, 2006 წელს რუსეთმა საქართველოს მოულოდნელად შეუწყვიტა გაზის მიწოდება, რამაც ზამთრის დაბალი ტემპერატურის პირობებში ქვეყანაში არსებული ენერგოკრიზისის ხელახალი გამწვავება გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოსტ-რევოლუციურმა ხელისუფლებამ გამოკვეთილად დასავლური კურსი აირჩია, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ჯერ კიდევ ჰქონდა ილუზია, რომ შეძლებდა ერთგვარი დაბალანსებული პოლიტიკის წარმოებას და ნატოში ინტეგრაციისაკენ სწრაფვის პარალელურად, მოახერხებდა კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნებას ჩრდილოელ მეზობელთან. ამისათვის კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგა, მათ შორის მოხდა უმაღლესი რანგის პოლიტიკური პირების შეხვედრა რუსეთსა და საქართველოს შორის. მეტიც, ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და რუსეთის პრეზიდენტი. მიუხედავად ურთიერთობების ნორმალიზების მცდელობისა, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან,

როგორც ჩანს რუსეთი საფრთხედ აღიქვამდა არა ნატოს, თავის საზღვრებთან, არამედ ეკონომიკურად და სამართლებრივად შემდგარ მეზობელ სახელმწიფოს.

2006 წლის მარტში აგრეთვე დასრულდა 1999 წლის ეუთოს სამიტზე დაწყებული მოლაპარაკებები საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ჯარების გაყვანის თაობაზე. 2007 წელს დაიხურა რუსეთის სამხედრო ბაზები, თუმცა გამონაკლისი აღმოჩნდა გუდაუთა. სწორედ გუდაუთის სამხედრო ბაზის საქართველოს ტერიტორიაზე დატოვებამ გააჩინა ეჭვი, რომ მანამდე მიღწეული შეთანხმება ჯარების გაყვანის შესახებ რუსეთის მხრიდან ბოლომდე არ სრულდებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ როკის გვირაბს აკონტროლებდნენ რუსები და არ აძლევდნენ უფლებას საერთაშორისო დამკვირვებლებს მიეღოთ როკის გვირაბზე ზოგადი ინფორმაცია. ამასთანავე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკების ჯარების მონაწილეობა, რუსეთის მიერ დაგეგმილ სამხედრო წვრთნებში, იმთავითვე მოდიოდა წინააღმდეგობაში რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებასთან.

2008 წლის აპრილში ბუქარესტში გამართული ნატოს სამიტი ერთგვარი სიგნალი აღმოჩნდა რუსეთისთვის, რადგან წევრმა ქვეყნებმა მკაფიოდ განაცხადეს, რომ საქართველო და უკრაინა მომავალში გახდებოდნენ ნატოს წევრი ქვეყნები.

2008 წლის ზაფხულზე კრემლის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მოასწავებდა საბრძოლო მოქმედებებისთვის მზადყოფნას. მაგალითად: პრეზიდენტი მედვედევი თავად შეხვდა ჯარისკაცებს, დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან, რაც საბოლოოდ დააგვირგვინეს ივლისში ჩატარებული წვრთნებით, სახელად „კავკასია-2008“. წვრთნები ჩატარდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რუსეთის 58-ე არმიის მიერ. ეს უკანასკნელი თავად მონაწილეობდა აგვისტოს ომში და გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით რუსეთ-ჩეჩნეთის ომებში (Asmus,2010). 2011 წლის ნოემბერში პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის თავიდან აცილების შემთხვევაში, ისინი მიიღებდნენ

გაფართოებულ ნატოს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის მიერ მზაობას ომის დაწყებისა (Dyomkin, 2016).

2008 წლის 29 ივლისს ე.წ სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა ძალებმა ქართული სოფლების მიმართულებით რამდენჯერმე გახსნეს ცეცხლი. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ცეცხლის გახსნის ბრძანება გასცა 7 აგვისტოს 23:35-ზე. ჰაიდი ტალიავინის კომისიის ცნობილ დასკვნაში ნათქვამია, რომ ომის დაწყების პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც რუსულ, ისე ქართულ მხარეს, თუმცა დასკვნაში ნათლად ჩანს რომ კომისია ომის დაწყების პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს, 7-8 აგვისტოს ცხინვალის დაბომბვის დაწყებით. საქართველოს ხელისუფლება აღნიშნული დასკვნის რამდენიმე პუნქტს არ დაეთანხმა, თუმცა საბოლოო ჯამში მაინც დადებითად სცნო.

რუსეთი იყენებდა ყველანაირ რესურსს ომის წარმოებისთვის. სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო მოქმედებებს თან ერთვოდა ინტერნეტსივრცეში გაჩაღებული ბრძოლა. გარდა სამხედრო რესურსისა რუსეთის კიბერ-უსაფრთხოების ბიუროც კარგად მომზადებული აღმოჩნდა. მათ გახსნეს ე.წ „მეოთხე ფრონტი“ და მოახერხეს ქართული ინტერნეტსივრცის პარალიზება. დაფიქსირდა პირველი პრეცედენტი კიბერომისა, თანაც მაშინ, როდესაც საქართველოს თითქმის არანაირი ბერკეტი არ გააჩნდა კიბერშეტევების თავიდან ასაცილებლად(პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივით, 2010 წელს შეიქმნა პირველი კიბერბიურო საქართველოში). გარდა ამისა, რუსთმა საინფორმაციო ომი გამოუცხადა საქართველოს, რუსულ მედიაში ვრცელდებოდა რუსი მოსახლეობისა და რუსი ჯარისკაცების გენოციდის შესახებ დეზინფორმაცია, რაც ტალიავინის ცნობილ დასკვნაშიც არ დადასტურდა.

2008 წლის აგვისტოს ომმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ერთი მხრივ, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტობრივად განსაზღვრა საქართველოს დასავლელი მოკავშირეების დამოკიდებულება რეგიონის უსაფრთხოების პოლიტიკისადმი. ამასთანავე, აგვისტოს ომმა შეცვალა რუსეთის

ფედერაციის დამოკიდებულება საქართველოსადმი და ხელახლა განსაზღვრა რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (Centre for Eastern Geopolitical Studies, 2009).

მხოლოდ ის ფაქტიც, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% რუსეთის მიერაა ოკუპირებული, ყოველდღიურად უკანონოდ აკავებენ მოსახლეობას ე.წ. „საზღვრისპირა“ სოფლებიდან, ზოგიერთი ქართული მედიასაშუალება, ორგანიზაცია თუ საზოგადოებრივი დაჯგუფება აქტიურად ავრცელებს პროპაგანდისტულ გზავნილებს, რომლებიც კრემლის ინტერესების გატარებას ემსახურება, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დაპირისპირების მრავალწლიან ისტორიას აჯამებს.

თეორიული ჩარჩო

მელვინ დეფლორი (De Fleur, 1976) თეორიას განმარტავს, როგორც ინსტრუმენტს, რომელსაც რაღაცის ასახსნელად ვიყენებთ. მნიშვნელოვანიაარა მხოლოდ აუდიტორიამდე მიღწეული მასალა, არამედ ის, თუ როგორაა კონკრეტული ინფორმაცია წარმოჩენილი. რუსული პროპაგანდისტული ხერხებისა და მეთოდების ასახსნელად საუკეთესო საშუალება ფრეიმინგის თეორიის გამოყენებაა. სიტყვა „ფრეიმი“ ნიშნავს ჩარჩოს, რაც თავის მხრივ გულისხმობს რაღაც კონკრეტული შინაარსის შემოსაზღვრას. სწორედ ასე მუშაობენ მედიასაშუალებები - აშუქებენ ინფორმაციას კონკრეტულ ჩარჩოში. როგორც ჯემისონი (Jamieson, 2003)წერს: “ფრეიმები გვეუბნებიან რა არის მნიშვნელოვანი, რაზე უნდა ვისაუბროთ და ვიკამათოთ." ფრეიმის (ჩარჩოს) ეპითეტი სწორედ ამიტომაა გამოყენებული. ის მოიცავს რაღაც ნაწილს და ჩარჩოს გარეთ ტოვებს სხვა დეტალებს. საინტერესოა, რა ჩარჩოა რუსული პროპაგანდისტული გზავნილების არეალი.

ფრეიმინგი თითოეული ჟურნალისტისა და მედიასაშუალების ყოველდღიური სამუშაოს განუყოფელი ნაწილია. ისინი ინდივიდუალურად არჩევენ, თუ რა ჭრილში უნდა

გაშუქდეს ესა თუ ის საკითხი და როგორ მიეწოდოს საზოგადოებას. ეს შეიძლება იყოს გაუცნობიერებელიც და მიზანმიმართულიც. ფრეიმინგი აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებაა. იგი, ფაქტობრივად, მედიის ძალაუფლების ერთ-ერთი წყაროა. მედიასაშუალებებს არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ ყველა ინფორმაცია ერთნაირი სტანდარტით გააშუქონ. ზოგ ამბავს უფრო მეტი დრო და ადგილი ეთმობა, ვიდრე სხვებს. აგრეთვე, ზოგი ამბავი უფრო ნათლადაა გაშუქებული, ვიდრე სხვა. ფრეიმი ყურადღებას მიმართავს რეალობის კონკრეტულ ასპექტზე და ფარავს სხვა ასპექტს.

ფრეიმინგის გაგება პირველად გრეგორი ბეიტსონმა განმარტა (Bateson, 1972). ფრეიმინგის მეთოდი ორ ეტაპად იყოფა: 1. ექსპოზიცია და 2. აღწერა. სწორედ ექსპოზიციის დროს წყდება, გაშუქდეს თუ არა ინფორმაცია. ეს მეთოდი, თავის მხრივ, მოიაზრებს:

1. სიხშირეს - რამდენჯერ და რამდენი ხნით გაშუქდება ინფორმაცია;

2. ადგილს - სად გამოჩნდება ინფორმაცია (მაგალითად, გაზეთის რომელ გვერდზე);

3. დროს - რომელიც საკითხს დაეთმობა.

სწორედ ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღება მედიასაშუალების მმართველების მიერ და ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს, თუ როგორ აღიქმება კონკრეტული საკითხები. რაიმე მოვლენის წინ წამოწევით და სხვების „დაჩრდილვით“ მედია ზეგავლენას ახდენს საზოგადოების მიერ საკითხების შეფასებაზე.

აღწერითი ფრეიმინგის დროს ხაზი ესმება იმას, თუ როგორაა ესა თუ ის ამბავი გაშუქებული. აღწერითი ფრეიმინგის ტექნიკა გულისხმობს ისეთი საკითხების გადაჭრას, როგორებიცაა: რომელი სურათები უნდა გადაიცეს ამბის გაშუქებისას? ვისი ციტირება უნდა მოხდეს? როგორი ენით უნდა იყოს ტექსტის ანალიზი დაწერილი? ეს უკანასკნელი კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რადგან ადამიანებისთვის ინფორმაციის ერთადერთი გზა სწორედ ის მედიასაშუალებაა, რომელსაც მიმართავენ. ფრეიმებს მხოლოდ ჟურნალისტები არ ქმნიან. ამას აკეთებენ შინაარსის მიმწოდებლები. ფრეიმინგზე გავლენას ახდენენ სპონსორები, პოლიტიკური ელიტა, სოციალური მოძრაობები. აუდიტორიასაც

აქვს თავისი ფრეიმები და მედიისგან მიღებულ ინფორმაციას სწორედ ამ ფრეიმების მიხედვით აანალიზებს.

ენტმანი (Entman, 1993) ხსნიდა: „ფრეიმინგის პროცესი მოიცავს რეალობის რომელიმე ასპექტის არჩევას და მისი ტექსტური გზით გადაცემას ისე, რომ ჩანდეს პრობლემა, კაუზალური ინტერპრეტაცია, მორალური შეფასება და რეკომენდაცია“. ენტმანი განმარტავდა, რომ ფრეიმინგი გულისხმობს რომელიმე ამბის ნაწილობრივი სიმართლის ჩვენებას, მის ანალიზს და რეკომენდაციების მიცემას ამ ამბის გარშემო. იგი ასევე ამბობდა, რომ ფრეიმები ყურადღებას ამახვილებენ რეალობის გარკვეულ ასპექტზე და ფარავენ სხვა ასპექტებს.

ენტმანი (Entman, 1993)ამბობდა, რომ ფრეიმებს აქვთ მინიმუმ ოთხი ადგილი კომუნიკაციის პროცესში: 1. კომუნიკატორი. 2. ტექტსი 3. მიმღები 4.კულტურა. ზოგიერთი ფრეიმი აუდიტორიისთვის მიუღებელია. აუდიტორია ქმნის საკუთარ ფრეიმებს და ახდენს ამბის ინტერპრეტაციას.

ფრეიმინგის მეშვეობით, დავადგენთ რაზე ამახვილებენ პრორუსული მედიასაშუალებები ყურადღებას, როგორ აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას და რა როლი აქვს კრემლის პროპაგანდას საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში.

კვლევის მეთოდოლოგია

კრემლის პროპაგანდის კვლევა კონტენტ-ანალიზის მეთოდით ჩავატარეთ. რუსული პროპაგანდისტული მესიჯების გამოსავლენად და გასაანალიზებლად გამოვიყენეთ მარტივი კონტენტ ანალიზი, მესიჯების ანალიზი და მნიშვნელობის ანალიზი. კონტენტ-ანალიზი ეს არის კვლევის მეთოდი, რომელიც აიდენტიფიცირებს, აღწერს და ამასთან, რაოდენობრივად ითვლის ტენდენციებს. ამ მეთოდის მეშვეობით დგინდება მონაცემების კორელაცია კონტექსტთან. ანალიზი ხორციელდება რამდენიმე ეტაპად - პირველ რიგში

გამოიყოფა საკვლევი პოპულაცია, მედიასაშუალებების სიმრავლე, შემდეგ გამოიყოფა კონკრეტული საკვლევი საკითხი, ჰიპოთეზა და ის ცვლადები, რომელთა კორელაციის მეშვეობით გავაანალიზებთ საკვლევ საკითხს, დადასტურდება ან არა მკვლევრის ჰიპოთეზა.

მეორე ეტაპზე გამოიყოფა ანალიზის ერთეული, ე.წ. key-word-ები. მესამე ეტაპზე ეტაპზე იდენტიფიცირდება ის შინაარსობრივი კატეგორიები, რომელთა მიხედვითაც ხდებაკატეგორიზაცია. მეოთხე ეტაპზე რაოდენობრივი მაჩვენებლების დათვლა. დასკვნითი ეტაპი არის მიღებული მონაცემების გაანალიზება, ტენდენციების გამოკვეთა და დასკვნის გაკეთება.

წინამდებარე კვლევის საწყის ეტაპზე შეირჩა ონლაინ მედიასაშუალებები: „საქართველო და მსოფლიო (Geworld.ge)", "საქინფორმი" და "ალტნიუსი". როგორც უკვე აღვნიშნე, არჩევანს საფუძვლად დაედო „მედიის განვითარების ფონდის“2017 წლის კვლევა, რომელმაც გამოავლინა პრორუსული მედიასაშუალებები.

კვლევის მომდევნო ეტაპზე, განვახორციელეთ ჩამოთვლილი მედიასაშუალებების მონიტორინგი 6 თვის განმავლობაში - 2018 წლის იანვრიდან ინვისის ჩათვლით.

საკვლევ პერიოდად შევარჩიეთ ის დრო, როცა საქართველოს შიდა პოლიტიკური პროცესები ძალიან აქტიურ ფაზაში იყო. გავიდა ერთი წელი ვიზალიბერალიზაციიდან და აქტიურად დაიწყო ინფორმაციის გაჟღერება, თითქოს ქვეყნის ამ მონაპოვარს შეჩერების საფრთხე ემუქრებოდა; ამ პერიოდში მოექცა 17 მაისი, „თეთრი ხმაურის მოძრაობის“ მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციები, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის გამოძიების მოთხოვნით.ჩვენი ვარაუდით, პოლიტიკური პროცესები საკმარის საფუძველს იძლეოდა იმისთვის, რომ რუსული პროპაგანდისტული მანქანა უფრო აქტიურად ამუშავებულიყო.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა საკვლევი მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული რუსული პროპაგანდისტული გზავნილების სიხშირე და დაიყო კატეგორიებად:

ანტიდასავლური შინაარსის მესიჯები,რომელშიც გაერთიანდა ქვეკატეგორიები; ნოსტალგია საბჭოთა რუსეთის მიმართ და რუსული ძალის უალტერნატივობა; ლგბტ თემისა და ნარკომომხმარებლების დემონიზაცია და სხვა.

გამოიკვეთა შემდეგი საკვლევი კითხვები:

RQ1:რა სიხით ვლინდება რუსული პროპაგანდა ქართულ ონლაინ მედიაში?

RQ2:რა არის კრემლის პროპაგანდისტული გზავნილების მთავარი ნარატივი საქართველოში?

RQ3:რა ხერხებს მიმართავენ მედიასაშუალებები პროპაგანდის გასავრცელებლად?

შემუშავდა შემდეგი ჰიპოთეზები:

H1 ქართული ონლაინ მედია ავრცელებს რუსულ პროპაგანდისტულ გზავნილებს

H2 რუსული პროპაგანდა ძირითადად ვლინდება ანტიდასავლური და ანტიამერიკული გზავნილებით.

H3 რუსული პროპაგანდა ცდილობს ნეგატიურად წარმოაჩინოს ვიზალიბერალიზაციის საკითხი და დათესოს ნიჰილიზმი საზოგადოებაში დასავლური სტრუქტურებისადმი.

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, ვინც ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი აზრის არსი, განსაზღვრა მისი როლი ქვეყნის მართვაში და მიმოიხილა, თუ როგორ აყალიბებენ და ცვლიან გაზეთები საზოგადოებრივ აზრს, ვოლტერ ლიპმანი(Lipmann, 1922) იყო. „საზოგადოებრივი აზრი" მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომია. ლიპმანიაყალიბებს იდეას, რომ პრესის მთავარი დამნიშნულებაა „შექმნას სურათები ჩვენს გონებაში, გარესამყაროს შესახებ". ასევე, აღწერს შემთხვევებს, როცა ეს სურათები მრუდე და არასწორია. ამ ყველაფერს კი აფუძნებს მოსაზრებაზე, რომ „ახალი ამბავი არ არის სიმართლე". ავტორი ამბობს, რომ „სურათები ჩვენს გონებაში" ქმნიან „ფსევდო რეალობას" და არ ასახავენ იმას, თუ რა ხდება გარესამყაროში. ისინი ვინც ახალ ამბებს ქმნიან, რედაქტორები, ჟურნალისტები, ყოველთვის არიან შეზღუდულები დროში, ფინანსებში, საგაზეთო სივრცეში. ლიპმანის იდეას, იმის შესახებ, რომ ახალი ამბები არასდროს იქნება სრულყოფილი, წუნდაუდებელი და ობიექტური ინფორმაციის წყარო, 1900-იანი წლების მეორე ნახევარში ორმა თეორეტიკოსმაც დაუჭირა მხარი. ერთ-ერთი მათგანი დევიდ მანინგ უაითი (White, 1950) იყო, რომელმაც ცნობილი „ჭიშკრის დაცვის" თეორია შექმნა. ის იმ პროცესს აღწერს, რისი გავლაც ახალ ამბავს გამოქვეყნებამდე რედაქტორების ხელში უწევთ. მთავარი, კი ისაა, რომ ამბავმა, შესაძლოა, მხოლოდ იმიტომ ვერ მიპყროს საზოგადოების ყურადღება რომ „ჭიშკრის მცველმა" ეს არ ისურვა.

„ფსევდო გარემოს" შესახებ იდეის დადასტურება კი კომუნიკაციების მკვლევარებს მაქსველ მაკკომბს და და დონალდ შოუს (McCombs and Shaw, 1968) ეკუთვნით. მათ „დღის წესრიგის თეორია" შექმნეს. ისინი ამბობდნენ, რომ რედაქტორები არჩევენ ამბებს, რომლებიც მათი აზრითაა მნიშვნელოვანი. ეს ამბები ძირითადად ლიპმანის კრიტერიუმებზე - დროის, ფინანსების და სივრცის შეზღუდვაზეა დაფუძნებული და სწორედ ამის მიხედვით წყდება, რამდენად მიიქცევს ის საზოგადოების ყურადღებას.

ახალი კომუნიკაციური ტექნოლოგიები იმის შანსსაც აძლევს აუდიტორიას, რომ მედიის შინაარსი თვითონ აირჩიონ. ადამიანები მუდმივად ირჩევენ რომელ რადიო სადგურს უსმინონ, რომელ არხს უყურონ, მაგრამ მიხედავად მათი აქტიურობისა მათი არჩევანი შემოსაზღვრულია არსებული მედია არხებით.

პროპაგანდა არის ტერმინი, რომელიც საერთაშორისო კომუნიკაციებთან ასოცირდება. კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, პროპაგანდა უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს და ხშირად, საშიშია. პროპაგანდა სხვადასხვა მანიპულაციური მეთოდების გამოყენების მეშვეობით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ისახავს მიზნად. პროპაგანდა 3 მნიშვნელოვანი გზით ხორციელდება: 1. მას იყენებენ სამთავრობო ლიდერები საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებლად. 2. მას იყენებენ ქვეყნის რეპუტაციის გასაუმჯობესებლად ან გასაუარესებლად მტელი მსოფლიოს მასშტაბით. 3. არასამთავრობო ორგანიზაციები იყენებენ პოლიტიკის შესაცვლელად(Vincent, 1983).

ტერმინი პროპაგანდა 17-ე საუკუნეში წარმოიშვა. ამ დროისთვის, ძალიან ბევრი ადამიანი ტოვებდა ეკლესიებს. 1622 წელს რომის პაპმა გრეგორი XV-მ კარდინალების ჯგუფი („საზოგადოება რწმენის პროპაგანდირებისთვის“) საზღვარგარეთ გაუშვა მისიით, რომლის მიზანი დოქტრინის გავრცელება იყო. ამავე საუკუნეში ტერმინი „პროპაგანდა“ გამოიყენებოდა იმ საიდუმლო ორგანიზაციებთან მიმართებით, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების ცამოყალიბებაში მონაწილეობდნენ. კომუნიკაციებთან მიმართებით პროპაგანდა პირველად მეოცე საუკუნეში გამოიყენეს(Vincent, 1983).

პროპაგანდის ფუნქციონირების მექანიზმები

საზოგადოებასთან ურთიერთობების მამად წოდებული ედუარდ ბერნაისი(Bernays, 1923) წიგნში „აზრების დაკრისტალება“ წერდა: „თუ ჩვენ გავიგებთ ჯგუფური აზროვნების მექანიზმებს და მოტივებს, შესაძლებელია მასების კონტროლი ჩვენი სურვილისამებრ, ისე

რომ მათ ამის შესახებ არაფერი ეცოდინებათ“. სწორედ ასე იცნობს კრემლის პროპაგანდისტული მანქანა საქართველოსა და ქართველებს. მათ ზუსტად იციან, რომელ წერტილზე უნდა იმოქმედონ სასურველი შედეგების მისაღებად.

ელიზაბეტ ლი(Lee, 1939) წიგნში „პროპაგანდის ხელოვნება“ პროპაგანდის 7 ხერხს ასახელებს:

1. სახელების დარქმევა (Name calling) - მოიცავს სხვადასხვა სტერეოტიპის თავს მოხვევას, იარლიყის მიწებებას ანდა მტრის ხატის შექმნას. მაგალითად, ცივი ომის დროს, რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია უწოდა“.

2. ბრწყინვალე განზოგადება (Glittering Generality) - ემოციური ფრაზა, რომელიც ასოცირდება მაღალ ღირებულებებთან, რომლებიც მიღებულია საზოგადოებაში.

3. სურათების გადანაცვლება (Image Transfer) -კარგი რეპუტაციის და ავტორიტეტის მქონე ადამიანების დაკავშირება რაღაც კონცეფციასთან.

4. ჩვენება (Testimonial) - ცნობადი, თუმცა ცუდი რეპუტაციის მქონდე ადამიანის გამოყენება, პოზიტიურ ან ნეგატიურ კონტექსტში.

5. უბრალო ხალხი (Plain folks) - როდესაც საზოგადოებას არწმუნებ, რომ ყველა თანაბარია და შენც მათნაირი ხარ, იმავე ცხოვრებით ცხოვრობ. ეს ხერხი გამოიყენება, ძირითადად, საარჩევნო კამპანიების დროს.

6. კარტების ჩაწყობა (Card staking) - როცა ავრცელებ სიმართლეს და სიცრუეს, თანაბარი დოზით, აუდიტორიის დასაბნევად.

7. ჯაჭვური რეაქციის ეფექტი (The Band Wagon effect) - ხალხის დარწმუნება შემდეგი ფრაზებით: „ყველა ასე იქცევა“, „ყველანი ასე ვაკეთებთ“(Lee, 1939).

ელიზაბეტ ლის(Lee, 1939) ეს კლასიფიკაცია ძალიან თვალსაჩინოდ წარმოაჩენს რუსული პროპაგანდის გავრცელების ხერხებსა და მეთოდებს საქართველოში.

ჯონ მარტინი (Martin, 1971) ნაშრომში „საერთაშორისო პროპაგანდის ეფექტები“, გამოყოფს პროპაგანდის შემადგენელ ელემენტებს:

<კომუნიკატორი - მასში მოიაზრება გზავნილის გადამცემი;

<შეტყობინება - პროპაგანდის ეფექტურობა იზრდება, თუ შეტყობინება ეთანხმება სამიზნე აუდიტორიის მოთხოვნას და სწრაფვას;

<მედიატორი - მასობრივი ინფომაციის საშუალებები, რომლითაც იწარმოება პროპაგანდა;
<აუდიტორია - შეტყობინების მიმღები.

გარდა ჯონ მარტინის ელემენტებისა, დუგლას ვოლტონი (Walton, 1996) პროპაგანდის მახასიათებლებში ასევე მოიაზრებს ელემენტებს:

<ცალმხრივი არგუმენტაცია - პროპაგანდა იცავს ამა თუ იმ საკითხს ცალმხრივად;

<შედეგებით გამართლებული - პროპაგანდა გამართლებულია იმ შედეგით, რასაც მიიღებს;

<ერისტიკული ასპექტი - „თუ ჩვენს მხარეს არ ხართ, მაშინ ჩვენს წინააღმდეგ ხართ“;

ედუარდ ბერნაისი (Bernays, 1928) წიგნში „პროპაგანდა“ წერს:„ჩვენ გვმართავენ. ჩვენი გონება არის ჩამოყალიბებული, ჩვენი გემოვნება და იდეები არის ფორმირებული, იმ ადამიანთა მიერ, რომლის შესახებაც არაფერი გვსმენია“. ბერნაისის მოსაზრებით ეს ლოგიკური შედეგია, იმისა, თუ როგორ არის ორგანიზებული დემოკრატიული საზოგადოებები. „თუ გავლენას მოახდენ ლიდერებზე, მათი გაერთიანებით, ან გაერთიანების გარეშე, მაშინ, ავტომატურად მოახდენ გავლენას იმ ჯგუფებზე, რომელშიც ისინი ტრიალებენ“ (Bernays, 1928). ბერნაისი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ადამიანები მასების ფსიქოლოგიის პრინციპით მოქმედებენ, არამხოლოდ მაშინ, როდესაც ერთად არიან, არამედ ცალ-ცალკეც. მისი აზრით, პროპაგანდის ერთ-ერთი ხერხი არის სიტყვა „შენ“-ის გამოყენება. რუსული პროპაგანდა ამ მეთოდითაც მოქმედებს - „ვიზალიბერალიზაცია შენ რაში გარგია, მაინც ვერსად მივფრინავ“, „გინდა შენი შვილი გეი იყოს?“...

ბერნაირი (Bernays, 1928),ასევე, წერს, რომ „პოლიტიკოსს ესმის ხალხის, მან იცის, თუ რა სურს ხალხს და რას მიიღებენ ისინი.“ როგორც უკვე აღვნიშნე, რუსეთი ძალიან კარგად იცნობს ქართველ საზოგადოებას, სწორედ ამიტომ აპელირებენ მუდმივად ლგბტ თემაზე, „ქართველობის წართმევასა“ და სარწმუნოებაზე.

ჰაროლდ ლასველმა (Lasswell, 1948) ჩამოაყალიბა ყველაზე მოხერხებული გზა კომუნიკაციის პროცესის აღწერისა:

„ვინ

ამბობს რას

რა წყაროს მეშვეობით

ვის ეუბნება

რა ეფექტით“

ეს მეთოდი დღემდე რჩება კომუნიკაციების საბაზისო კონცეპტად და რადგან პროპაგანდაც ამ სფეროს ნაწილია, ეს მარტივი დებულება პროპაგანდის გასაშიფრადაც გამოიყენება.

1949 წელს შენონმა და ვივერმა (Shannon and Weaver, 1949) გამოაქვეყნეს კომუნიკაციების მათემატიკური თეორია, რომელიც ფოკუსირებული იყო ინფორმაციის გადაცემაზე სატელეფონო ხაზის მეშვეობით, შემდგომ კი მან უფრო ზოგადი სახე მიიღო და გახდა თეორია, რომელიც აღწერს ნებისმიერი სიგნალის გადაცემას ენის ინტერპრეტირებადი სიმბოლოებით. მათ შექმნეს მარტივი გრაფიკული კომუნიკაციური სისტემის მოდელი, რომელიც ასე გამოიყურება:

„ინფორმაციის წყარო - გზავნილი - გადამცემი - სიგნალი - ხმაური (რომელიც გაუთვალისწინებენ შემთხვევებს გულისხმობს) - მიღებული სიგნალი - მიმღები - გზავნილი - დანიშნულების ადგილი“(Shannon and Weaver, 1949). აღნიშნული სქემიდან კარგად ჩანს რუსული პროპაგანდის მოქმედების სტრატეგია. ინფორმაციის წყარო

ქართული მედიასაშუალებებისთვის ხშირად არის რუსული გამოცემები, ან ისინი თხზავენ სხვადასხვა ამბავს, მანიპულირებენ ფოტოებითა და ვიდეოებითდა ავრცელებენ კრემლის მესიჯებს საზოგადოებაში.

როგორც ჰაროლდ ლასველი (Lasswell, 1951) განმარტავს, „პროპაგანდა არის კოლექტიური დამოკიდებულებების მართვა მნიშვნელოვანი სიმბოლოების მანიპულირებით“. მკვლევარი თვლის, რომ პროპაგანდა დიპლომატიასთან, ეკონომიკასთან და შეიარაღებულ ძალებთან ერთად პოლიტიკის იარაღია. თავის წიგნში „საბჭოთა პროპაგანდის სტრატეგია“ რუსულ პროპაგანდას აგრესიულს უწოდებს და წერს: „რუსული პროპაგანდა სულაც არ წარმოადგენს მშვიდობიან პროცესს... იგი წარმოადგენს ძალაუფლების ხელში ჩაგდების წინაპირობას“ (Laswell, 1951).

ასე რომ, პროპაგანდა ეს არის კომუნიკაციის ტექნიკა, რომელსაც საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისათვის იყენებენ, ის საუკუნეების განმავლობაში ახდენდა გავლენას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საკითხებზე. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ის დღითიდღე უფრო ძლიერი ხდება. პროპაგანდას, სამთავრობო ლიდერების გარდა, იყენებენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც, მათთვის სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის.

რუსეთის ხელისუფლება ძალიან ეფექტიანად იყენებს სამ ინსტრუმენტს: სამხედრო ძალას, სპეცსამსახურებს და პროპაგანდას. „...რუსული პროპაგანდა, პირველ რიგში, რუსეთის ფედერაციის გაპიარებას კი არ ემსახურება, მისი უპირველესი ამოცანაა იმ სახელმწიფოების ანტიპიარი, რომლებსაც რუსეთის ფედერაცია მოწინააღმდეგედ მიიჩნევს“ (ბილანიშვილი, 2018). სწორედ ამ ამოცანის ფარგლებში ვრცელდება დასავლეთის დისკრედიტაციის მიზნით ჩამოყალიბებული მყარი ნარატივი, რომელშიც დასავლეთი წარმოჩენილია დეგრადირების გზაზე მყოფ საზოგადოებად, რომელიც დასაღუპად არის განწირული. ამ ფონზე რუსული პროპაგანდა ცდილობს დაამკვიდროს აღქმა, რომ რუსეთის ფედერაცია არის თანამედროვე მსოფლიოში ტრადიციული ღირებულებების უპირველესი დამცველი.

კვლევები რუსული პროპაგანდის შესახებ

კრემლის საინფორმაციო ომის შესახებ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI)“ 2016 წელს გამოქვეყნა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც განხილულია საქართველოში რუსეთის პროპაგანდის მახასიათებლები, მთავარი გზავნილები და მათი გავლენა საზოგადოებაზე. ასევე, წარმოაჩინა ის გამოწვევები და საფრთხეები, რომლებიც თან სდევს საინფორმაციო ომს და რომლის წინააღმდეგაც საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. დოკუმენტში ასევე ასახულია რეკომენდაციები, თუ რა ღონისძიებებით შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას, დაუპირისპირდეს რუსულ პროპაგანდას. IDFI-ის კვლევის მიხედვით, რუსული პროპაგანდის მთავარი არხები საქართველოში არის: მედიასაშუალებები, რუსული მედია ქართულ სატელევიზიო სივრცეში, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და სასულიერო პირები.

კვლევა ცხადყოფს, რომ ერთ-ერთი ძირითადი მითი, რომლის გავრცელებასაც კრემლის პროპაგანდა უჭერს მხარს, არის დასავლური ღირებულებებისა და ქართული ტრადიციების შეუთავსებლობა, აგრეთვე, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საფრთხეები. ანგარიშში ნათქვამია: „2013 წლიდან კრემლის პროპაგანდისტების მიერ, მიზანმიმართულად ვრცელდებოდა დეზინფორმაცია, რომლის თანახმად, დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის სანაცვლოდ, საქართველოს მოუწევდა ერთი სქესის მქონდე პირთა ქორწინების დაკანონება“ (IDFI, 2016). კვლევის მიხედვით კამპანია განსაკუთრებით გააქტიურდა 2014 წლიდან, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. პროპაგანდა კიდევ უფრო აქტუალური გახდა 2015 წელს, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილმა გააჟღერა მმართველი გუნდის ინიციატივა - კონსტიტუციაში გაკეთებულიყო ჩანაწერი, რომ ქორწინება წარმოადგენდა ქალისა და მამაკაცის ერთობას. საინტერესოა ისიც, რომ მთავრობაში, გადაწყვეტილების ერთ-ერთ მოტივად რუსულ რბილ ძალაზე პასუხის გაცემა დაფიქსირდა. თუ, როგორც IDFI-ს და სხვა კვლევებში ჩანს,

რუსული პროპაგანდა ძირითადად სწორედ ლგბტ თემაზე აპელირებით მოქმედებდა, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ვიზალიბერალიზაცია ამოქმედდა, რუსული პროპაგანდის მთავარ სამიზნედ იქცა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები და ევრო-ატლანტიკური სტრუქტურები. აგრეთვე, ამ ინსტიტუტების მიმართ ნიჰილიზმის დანერგვა. ამას ადასტურებს მედიის განვითარების ფონდის 2018 წელს გამოქვეყნებული კვლევა.

მედიის განვითარების ფონდის კვლევა - „ანტიდასავლური პროპაგანდა“ ერთწლიანი მონიტორინგის შედეგების ანალიზია, რომლის მიზანი 2017 წელს ქართულ მედიაში გამოვლენილი ანტიდასავლური გზავნილებისა და ყალბი ინფორმაციის ტიპოლოგიის შესწავლა იყო. მსგვსი კვლევა ფონდმა 2014-2015 და 2016 წლებშიც ჩატარდა. მონიტორინგი 17 მედია საშუალებაზე ხორციელდებოდა - სატელევიზიო, ბეჭდურ და ინტერნეტ გამოცემებზე. მონიტორინგი როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კვლევის მეთოდებს ასახავს. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს ანტიდასავლური კომენტარების რაოდენობას თემატიკის მიხედვით, ხოლო თვისებრივ ნაწილში მოცემულია გზავნილების ტიპოლოგია.

2017 წლის მონიტორინგის სუბიექტ 17 მედია საშუალებაში სულ 1967 ანტიდასავლური კომენტარი გაკეთდა. 2015-2016 წლებისგან განსხვავებით, როცა დომინანტი ადამიანის იდენტობასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ნეგატიური გზავნილები იყო, 2017 წელს წინა პლანზე საგარეო პოლიტიკურმა თემატიკამ წამოიწია, რაც საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებზე პოლარიზაციას ისახავს მიზნად.წინა წლებთან შედარებით, თითქმის გასამმაგებულია ანტიამერიკული გზავნილები (25.9%), რომელსაც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (18.4 %) და დასავლეთი (14.1%) მოსდევენ.

ანგარიშის შედეგების მიხედვით კრემლის ნარატივის სტრუქტურა 3 საფეხურიანია და მიზნად ისახავს: 1. საფრთხეების შექმნას: 2. პარტნიორების და დასავლური ინსტიტუტებისადმი უნდობლობის დათესვას; 3. რუსეთის უალტერნატივობის აზრის დამკვიდრებას (მედიის განვითარების ფონდი, 2018)

144 ყალბი ინფორმაციის გადამოწმებისას გამოვლინდა, რომ მედია საშუალებები ხშირად იყენებენ ფოტო და ვიდეო მანიპულაციებს, სოციალურ მედიას, როგორც ყალბი ინფორმაციის ცალმხრივ წყაროს, ისტორიის ფაბრიკაციას, ლიტერატურული ნაწარმოების/სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციის რეალურ ფაქტად წარმოჩენის მეთოდს, კონსპირაციას.

„გამოიკვეთა 4 ძირითადი მედია (Geworld.ge, საქინფორმი, ტვ „ობიექტივი“, „ასავალ-დასავალი“), რომელიც ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო იყო.“ - როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სწორედ ეს გახდა ჩვენი მონიტორინგის საფუძველი.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI)” პირველი რეკომენდაციით, სახელმწიფოს ოფიციალურად უნდა განესაზღვრა კრემლის საინფორმაციო ომი საფრთხედ. რაც აისახა კიდეც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის ფინალურ ანგარიშში. დოკუმენტის მიხედვით, უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურები სხვადასხვა საქმიანობის საფარქვეშ (დიპლომატიური, კულტურული, ჰუმანიტარული, რელიგიური, კომერციული და სხვა) მუდმივად ცდილობენ შეაღწიონ ხელისუფლების ორგანოებსა და ქვეყნის უსაფრთხოების სტრუქტურებში და მათი მიზანია გავლენა იქონიონ ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, სამხედრო და ეკონომიკურ პროცესებზე. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ამ ანგარიშში, კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციაა გაანალიზებული და გამოკვეთილია საქართველოში, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ძირითადი ამოცანები: „ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება; საერთაშორისო დონეზე საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის იმიჯის შელახვა; საზოგადოებაში უნდობლობის, გაურკვევლობის, უიმედობის და ნიჰილიზმის გაჩენა; ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დესტაბილიზაციის კერების შექმნა, რათა ქვეყანაში განვითარდეს დეზინტეგრაციული პროცესები და მოხდეს ქართული საზოგადოების პოლარიზაცია“ (სახელმსიფო უსაფრთხოების სამსახური, 2018) სუსის ანგარიშში აღნიშნულია ისიც, რომ ამ ამოცანების შესასრულებლად იყენებენ ჰიბრიდული

ომის ტაქტიკას - პროპაგანდისტული მედიასაშუალებებს, კიბერშეტევებსა და დესტრუქციულ საზოგადოებრივ-პოპულისტური გაერთიანებებს.

IDFI-ს რეკომენდაციებს შორის ასევე მოხვდა დეზინფორმაციის ანალიზისა და პროპაგანდასთან ბრძოლის საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის იდეა, რასაც ხელისუფლება არა, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ. რუსულ პროპაგანდასთან საბრძოლველად ჩამოყალიბდა „მედიის განვიტარების ფონდის“ბაზაზე ჩამოყალიბდა „მითების დეტექტორი“ - რომელიც, როგორც მედიასაშულებების მეშვეობით, ასევე სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ყალბ ინფორმაციას ამოწმებს. მსგავსი პროფილით მუშაობენ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პროექტში „Mediachecker“ და საქართველოს რეფორმების ასოციაციის პროექტში „Factcheck”.

თავი III

კვლევის შედეგები

„საქართველო და მსოფლიო“

ექვსთვიანი მონიტორინგის შედეგად, „საქართველო და მსოფლიოს“ ვებ-გვერდზე სულ 167 რუსული პროპაგანდისტული გზავნილების შემცველი სტატია გამოვლინდა. გზავნილებირამდენიმე კატეგორიად დავყავით:

<ანტიდასავლური პროპაგანდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრემლის პროპაგანდის, დაახლოებით, 50 % დასავლეთის შესახებ ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებას ისახავს მიზნად. მონიტორინგის შედეგად სულ 76 სტატია გამოვლინდა, რომლებშიც გავრცელებულია შემდეგი სახის მესიჯები:

< ამერიკა საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს;

<ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება რუსეთთან ურთიერთობაში კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას შემოტანს;

<ევროპა გარყვნილების ბუდეა და მათთან შერწყმა ქართული იდენტობის დაკარგვას გამოიწვევს;

< ნატოში მიღების სანაცვლოდ აფხაზეთი და ოსეთი უნდა დავთმოთ;

< დასავლეთთან ინტეგრაციის წინაპირობა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაა;

< ნიჰილიზმი დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებასთან დაკავშირები - ნატოში რომ მიგვიღონ, მერე რა?; ხალხს ფული არ აქვს და ვიზალიბერალიზაციით ხალხი მაინც ვერ სარგებლობს; ამერიკისთვის სტრატეგიული პარტნიორები კი არა, საზარბაზნე ხორცი ვართ;

- გოგა ხაინდრავა: „ნეოლიბერალიზმმა კრახამდე მიიყვანა ევროპა, რომელმაც მამათმავლობის ლეგალიზაციას ანაცვალა კაცობრიობის ინტერესები, მათ შორის _ საქართველოს ინტერესებიც“ (17 მაისი, 2018).

- „_რა მოგვიტანა ევროატლანტიკური სივრცისკენ მოწამეობრივმა სწრაფვამ? _მოგვიტანა ის, რასაც ყველა ვხედავთ - რუსეთთან კონფრონტაციის ესკალაცია, ზღვა სისხლი და ტერიტორიულად დაშლილ-გაუბედურებული საქართველო. ნუთუ მართლა ვერ ვხვდებით, რომ ჩვენი "ევროატლანტიკელი პარტნიორები" საზარბაზნე ხორცად გვიყენებენ?! " (გუგა სამხარაძე, 10 მაისი, 2018).
- მამა დავითი (ისაკაძე): „ლგბტ მოძრაობა ჩვენი ერის გენოციდია. ეს არის, ფაქტობრივად, ომი ქრისტიანობის, ზნეობის, მორალისა და ადამიანობის წინააღმდეგ. ...პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის მხრიდან ხელისუფლებაზე ძალიან დიდი წნეხია, ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე. ამდენი ხანია, ლგბტ მოძრაობა გეგმავდა ამ ღონისძიებას და დიპლომატიური კორპუსი პირდაპირ, როგორც წარმმართველი ძალა, ისე გაუძღვა მათ." ამავე სტატიაში, ავტორი, ჯაბა ჟვანია წერს: "17 მაისს საქართველოს "მეოცნებე" ხელისუფლებამ დასავლელი "მეგობრების" მ ითითებითა და „რჩევა–დარიგებით" მთავრობის კანცელარიასთან მის სვლელიყველა გზა ჩაკეტა და სოროსის ფონდიდან დაფინანსებულ „არასამთავრობო ორგანიზაციებს" კორდონს მიღმა რამდენიმე საათით ლგბტ დროშის ფრიალის საშუალება მისცა"(24 მაისი, 2018).
- „კაცი რომ ერთ დღეს „ანტიდისკრიმინაციულ"კანონს ტაშს დაუკრავ, გამოხვალ და იტყვი: ეს არის ჩვენი ისტორიული არჩევანიო, ნარკომანიას დააკანონებ და მზად ხარ, ნარკომოვაჭრეებს სრული თავისუფლება მისცე, ხოლო სოდომიასა და სხვა ათასგვარ გარყვნილებას ნორმად გამოაცხადებ, მერე რა პირით უნდა თქვა, რომ შენთვის მიუღებელია ფსევდოლიბერალური ძალები, რომლებიც ეროვნულ თვითმყოფადობას ებრძვიან?!" (მამა გურამი (გამცემლიძე),20 აპრილი,2018)
- „გახსოვთ, ალბათ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისას ("შალახოს" მელოდიის ფონზე) რომ ითქვა _ საქართველო უბრუნდება საკუთარ ოჯახს, რომელთანაც მასძალით გააწყვეტინეს კავშირებიო. იმ ხელმოწერის შემდ ეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ შეპირებული ევროპული სიკეთეები არ ჩანს.

რაც ჩანს, გეიაღლუმების ჩატარებისა და ერთი დაიმავე სქესის პირთა შორის ქორწინების პერსპექტივაა. ევროპის 14-ზე მეტმა ქვეყანამ დააკანონა ერთნაირსქესიანთა ქორწინება და ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრება, "ევროპულ ღირებულებებში" ყელამდე ჩაფლულებს?!" (ომარ მარგველაშვილი, 19 აპრილი, 2018)

„ევროატლანტიკურმა "ღირებულებებმა", შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომი გამოიწვიოს, "ნატო რუსეთთან სავაჭროდ გვიყენებს" და მსგავსი სათაურით "საქართველო და მსოფლიო" ფაქტობრივად, ყოველდღიურ რეჟიმში აქვეყნებს სტატიებს.

<**ნარკომომხმარებლების დემონიზება** და „თეთრი ხმაურის მოძრაობის" მიერ ორგანიზებული აქციების უარყოფით კონტექსტში წარმოჩენა. პრორუსულმა გამოცემამ, საპროტესტო აქციებს, რომელთა მთავარი მოთხოვნა კლუბ „გალერისა" და „ბასიანზე" ძალოსნების მიერ განხორციელებული ე.წ. „რეიდის" კანონიერების დადგენა იყო, „დოზების რევოლუციად" მონათლა და ამ თემას 29 სტატია მიუძღვნა. განსაკუთრებული აქტივობით ავტორები მაისში გამოირჩეოდნენ, როცა რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ მრავალათასიანი აქციები იმართებოდა. ამ ძალების დაფინანსებას გამოცემა, ასევე, დასავლეთს მიაწერს.

- „უშნოდ ატეხილი „თეთრი ხმაური" - ამ სათაურით გამოქვეყნდა სტატია 17 მაისს. „თეთრ სიკვდილს" აქამდე ნარკოტიკებსუწოდებდნენ, ახლაორგანიზაცია „თეთრი ხმაური" დააარსეს.ეს ყველაფერი გარედან იმართება იმ ძალების მიერ, რ ომელთა მიზანია თავიანთი გავლენისგაძლიერება საქართველოში, შინაგან საქმე თა სტრუქტურებისთვის სახელის გატეხვა და ა.შ. " (17 მაისი, 2008)
- "დოზების რევოლუცია" და საქართველოს უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემები - ამ სათაურით გამოქვეყნდა სტატია ონლაინ გამოცემის ვებ-გვერდზე. „12 მაისს სამართალდამცველების მიერ ღამის კლუბებში _ „ბასიანსა" და „გალერიში" ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, როდესაც 8

ნარკორეალიზატორი დააკავეს, ქართველი ახალგაზრდების ნაწილმა, ასე ვთქვათ, დარბეული კლუბების ჭირისუფლებმა, ძირითადად, ნარკოტიკების მომხმარებლებმა, „თეთრი ხმაურის“ ხელმძღვანელობით, საპროტესტო აქცია გამართეს რუსთაველის გამზირზე. მათ შეუერთდნენ ე.წ. ლგბტ თემისადა ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლები. მონაწილეები საპროტესტო აქციისა, რომელიც აშკარად ჩანდა, რომ სპონტანური არ იყო დასაქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი ძალები მართავდნენ (კარვების ოპერატიულად გაშლა, საწვიმარებითა და მიტინგებისთვის საჭირო აქსესუარების მომარაგება)...“ (ანზორ თოთაძე, „საქართველო და მსოფლიო“, 31 მაისი, 2018)

<საბჭოთა კავშირის რომანტიზება და თანამედროვე რუსეთის ერთადერთ, უალტერნატივო ძალად წარმოჩენა. რუსეთთან დაკავშირებული სენტიმენტები და კრემლთან დიალოგის უალტერნატივობა „საქართველოსა და მსოფლიოზე“ გამოქვეყნებული 17 სტატიის პათოსი იყო.

- „ვისაც ახსოვს საბჭოთა კავშირი, ემახსოვრება, რა ბევრი იყო იმხანად განათლებული და პატიოსანი ადამიანი. და კეთილი ადამიანური ურთიერთობები მატერიალურკეთილდღეობაზე გაცილებით მეტად ფასობდა. ამ განსხვავებამ საბჭოთა კავშირისსაზოგადოება ისე მძლავრად განავითარა, რომ, მხოლოდ 30 წლის მანძილზე პრიმიტიულიმიწათმოქმედების ქვეყანა ზემძლავრ კოსმოსურ და ბირთვულ სახელმწიფოდ იქცა.” (17 მაისი, 2018)
- „ქართველ ხალხს ქვეყნის სათავეში ამერიკის კიდევ ერთი მონა არ სჭირდება! - რუსეთი ერთადერთი ნათელი წერტილია მსოფლიოში, მართლმადიდებლური ქვეყანა, რომელსაც შეიძლება დაეყრდნო და იყო დაცული, მაგრამ “ძალიან ეროვნულები” გვაფრთხილებენ: ჩვენ არ უნდა ვიქცეთ რუსეთის დირექტივების შემსრულებლადო. საინტერესოა: რუსეთის რომელმადირექტივამ დააზიანა საქართველოს ინტერესები, განსხვავებით დასავლეთისდირექტივებისგან, რომლები

ც ჩვენი სულიერების დასამარებისკენ არის მიმართული?დასასრულ, ჩემი თანამოაზრეებისთვის გულისგასახარელ, ხოლო ლიბერასტებისთვის კიდევ ერთ კუჭისამშლელ ანტინატოურ გზავნილს ვთავაზობ საზოგადოებას _ მეტი სტალინისაქართველოში! (იზა თამაზაშვილი, 1 თებერვალი, 2018)

<**ლგბტქ თემი** - ეს თემა მონიტორინგის პერიოდში, განსაკუთრებული სიმწვავით ონლაინ გამოცემის გვერდებზე ორჯერ წამოიჭრა და მის შესახებ სულ 10 სტატია გამოქვეყნდა. პირველად მარტში, როცა იუსტიციის სახლთან ტრანსგენდერ ადამიანებთან ერთად სამოქალაქო საზოგადოების წევრები შეიკრიბნენ და პირადობის დამადასტურებენ დოკუმენტში სქესის შეცვლის უფლება მოითხოვეს. მეორედ კი მაისში - როცა ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასთან და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ლგბტქ თემთან დაკავშირებული სტატიები „საქართველოსა და მსოფლიოზე“, ძირითადად, დასავლური პროპაგანდის შედეგებთანაა დაკავშირებული.

- აბრევიატურა კომუნისტების ლოზუნგისა _ „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, არის „პყქშ“. ჰოდა, „პყქშ“-სთანამედროვე ვარიანტი ვნახეთ 8 მარტს იუსტიციის სახლის წინ გამართულ აქციაზე, სადაც „პედერასტები ყველა ქვეყნისა შეერთდნენ“ და მოითხოვეს, საბუთში მდედრობითი სქესი ჩაგვიწერეთო.აღარ ეშველება ქვეყანას. ეს ჰგავს დაგორებულ ლოდს, ქვას, აი, მთიდან რომ დაგორდება და ვეღარ გააჩერებ…”(ბესო ბარბაქაძე, 16 მარტი, 2018)

<**„ქართულ ეკლესიას საფრთხე ემუქრება“** - ამ აზრის გავრცელებას პრორუსული გამოცემა 6 თვის განმავლობაში 15 სტატიით შეეცადა. ეს თემაც, ძირითადად, დასავლეთთან იყო დაკავშირებული, პროპაგანდისტულ გზავნილებს კი, ძირითადად, სასულიერო პირები ავრცელებდნენ.

- “ებრძვიან ეკლესიას და პატრიარქს, აშკარაა, რომ ეს ბრძოლა გარე ძალების ინსპირირებულია”(23 მარტი, გიორგი ანდრიაძე)

<ქსენოფობია - აზერბაიჯანისგან, თურქეთისგან, სომხეთისგან და მიგრანტებისგან მომავალ საფრთხეებზე, რომელიც თითქმის ყველა შემთხვევაში არაარგუმენტირებული იყო, გამოცემამ 7 სტატია გამოაქვეყნა.

- „2016 წლის მიწურულს აზერბაიჯანელმა სამხედრო ექსპერტმა უზეირ ჯაფაროვმა ძალიან საინტერესო რამ განაცხადა:“საქართველო აცნობიერებს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მონასტრის ზონას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, იურიდიული თვალსაზრისით, აზერბაიჯანს უფრო მეტი უფლება აქვს დავითგარეჯაზე, ვიდრე საქართველოს. ორ ქვეყანას შორის საზღვრის გარკვევა ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო. აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის მწვავე დავა არასდროს ყოფილა, მათ შორის, ტერიტიორიულ საკითხებზეც, გარდა ქეშიშ-დაღის მონაკვეთისა, რომელსაც საქართველოში დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსს უწოდებენ. საქართველო დაეთანხმება იმას, რომ დავითგარეჯის მიმართ აზერბაიჯანს უფრო მეტი მორალურ-იურიდიული უფლებები აქვს. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნისთვის კომპლექსის მიმდებარე ზონა სტრატეგიულ სიმაღლეებად ითვლება და, აქედან გამომდინარე, უარს ვერ ვიტყვით მის მფლობელობაზე. ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას ქართულ ან სომხურ მიწებზე, მაგრამ საკუთარს არავის დავუთმობთ. ვფიქრობ, საქართველო და აზერბაიჯანი შეძლებენ კომპრომისული გადაწყვეტილების მიღწევას და 2017 წელს დაგეგმილი მოლაპარაკება დადებით შედეგებს მოგვცემს”. („აზერბაიჯანი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსისა და მიწის საკმაოდ დიდი ფართობის წართმევას გვიპირებს“, ბესო ბარბაქაძე, 16 თებერვალი, 2018)

- „მართლმსაჯულებამ, რომელიც “ბარიგებს” ნარკოპოლიტიკის შემსუბუქებას ჰპირდება, ორი ქართველი ახალგაზრდა შავკანიანებთან ჩხუბის გამო 4-4 წლით ციხეში გაისტუმრა“, (9 თებერვალი, 2018)

<არასამთავრობოორგანიზაციებისა და სახალხო დამცველი, ნინო ლომჯარიას დისკრედიტაციის მცდელობა - „ნაციონალური მოძრაობის“ გადმონაშთი, „ლიბერალი“, „ლგბტ თემის დამცველი“ და „სოროსის დაფინანსებული“ ის ეპითეტებია, რომლებითაც ლომჯარიას დემონიზებას პერიოდულად გამოქვეყნებულ 5 სტატიაში ცდილობდნენ ავტორები. სახალხო დამცველის წინააღმდეგ აგორებული კამპანიის ცალკე კატეგორიად გამოყოფის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც მონიტორინგმა ცხადყო, რომ ნინო ლომჯარიას სამუშაო გამოცდილება დასავლური პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებში, მის მიმართ თავდასხმების მიზეზი გახდა.

- სამოქალაქო საზოგადოება გადაქცეულია ნარკოტიკების, გარყვნილების, უზნეობ ისა და ბილწსიტყვაობის სამომხმარებლო საზოგადოებად, განსაკუთრებით აქტი ურობენ მასმედიის, არასამთავრობოების ეს ე.წ. ბილწსიტყვაობისდაქირავებული რუპორები. (ჯონი ცინცაძე, 28 ივნისი)

<დემოგრაფიული კატასტროფის საფრთხე - 8 სტატია მიეძღვნა ამ ტემას. სტატიებში ავტორები და რესპონდენტები ცდილობდნენ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის კრიტიკულად გამწვავებას. იბეჭდებოდა სტატიები სათაურებით: „თუ ყველა ოჯახს, სულ ცოტა, 3 შვილი არ ეყოლება, ერი დაიღუპება“, “დემოგრაფიული ორმოდან” ამოსასვლელად გადაუდებელი ღონისძიებები უნდა გატარდეს“ და ა.შ.

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, „საქართველო და მსოფლიო“ კრემლის პროპაგანდისტულ გზავნილებს, ძირითადად, ანტიდასავლურ კონტექსტში ავრცელებს. ავტორები და რესპონდენტები ცდილობენ, მკითხველები ევროატლანტიკური ინსტიტუტების სისუსტეში დაარწმუნონ და რუსეთი წარმოაჩინონ ყველაზე ძლიერ ძალად თანამედროვე მსოფლიოში. მედიასაშუალების მიზანია, ასევე, ნეგატიური ელფერით

გააშუქოს საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც ლგბტქ თემის უფლებების დაცვას ან ნარკოპოლიტიკის შემსუბუქებას ისახავდა მიზნად. „საქართველო და მსოფლიო“ საფრთხეების უტრირებითადაა დაკავებული - სასულიერო პირები ცდილობენ, ეკლესიის წინაშე არსებული საფრთხეები წარმოაჩინონ, დასავლეთთან კონტექსტში.

„საქინფორმი“

ექვსთვიანი მონიტორინგის შედეგად მედიასაშუალების ვებ-გვერდზე კრემლის პროპაგანდისტული მესიჯების შემცველი 72 სტატია გამოვლინდა. ჩვენ ისინი რამდენიმე კატეგორიად დავყავით. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ „საქინფორმის“ დარტყმების მთავარი ობიექტი აშშ-ა. ისინი დაუფარად ცდილობენ საქართველოს სრატეგიული პარტნიორის დისკრედიტაციას და ქვეყანაში განვითარებულ ყველა მოვლენას ამ მათ უკავშირებენ უკავშირებენ (ნეგატიურ კონტექსტში).

<ამერიკისა და ევროკავშირის ქვეყნების უსუსურებად წარმოჩენის ტენდენცია,განსაკუთრებით, ნატოს სამიტის მოახლოებასთან ერთად დაიწყო. ანტიდასავლური მესიჯების შემცველი 41 სტატია გამოქვეყნდა ჩვენი მონიტორინგის პერიოდში

- ყველაზე მნიშვნელოვანი კი - აშშ-ის რეაქცია, უფრო სწორად, სრული ურეაქციობაა! დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის 27 წლის განმავლობაში პირველად აშშ-ის საელჩო, რომელიც, როგორც წესი, ნებისმიერი საბაბით აცხადებს „ჩვენ ღრმად შეშფოთებული ვართ... ყურადღებით ვაკვირდებით მოვლენათა განვითარებას... მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას...“ და ასე შემდეგ, დუმს და აქციაზე ერთი სიტყვითაც კი არ რეაგირებს! დუმს თეთრი სახლის პრესმდივანიც, სახელმწიფო დეპარტამენტიც, ჩვეულებრივ, საგანგებო განცხადებებს რომ აფრქვევენ ხოლმე „საქართველოში

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დასაცავად“, როგორც ეს „რუსთავი 2“-ის შემთხვევაში და ზემოთ ჩამოთვლილი დანარჩენი არეულობების დროს იყო. იმიტომ, რომ ამერიკას ეშინია, კიდევ ერთხელ არ გაებას ხათაბალაში, როგორც არაერთხელ დაემართა სააკაშვილთან! (არნო ხიდირბეგიშვილი, 11 ივნისი, 2018)

- არნო ხიდირბეგიშვილი: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე საქართველოს ნატო არ სჭირდება, მათთან ერთად კი - მითუმეტეს!“ (1 მარტი, 2018)
- „საქართველო მართლმადიდებელ საქართველოდ დარჩება - „დასავლური ღირებულებები“ ვერ გავიდა“ - ამ სათაურით გამოქვეყნებულ სტატიაშივე ვკითხულობთ: 20018 წლის 17 მაისს აღმოჩნდა, რომ დასავლეთმა საქართველოში ხელისუფლების ყიდვა შეძლო, მაგრამ ქართველი ხალხი ვერ იყიდა. ყველა ჯურის პროპაგანდისტებს - ე.წ. ექსპერტებს, არასამთავრობოებს, ომბუდსმენს, პოლიტიკურ პარტიებს, ბომონდის ელიტას და უმცირესობათა დამცველებს რომლებიც ვაშინგტონიდან და ევროკავშირიდან გრანტებს იღებენ, თავი მოეჭრათ...“ (18 მაისი, 2018)
- „მსოფლიოში ახალი ფაშიზმი მოვიდა, არანაკლებ სასტიკი და არაადამიანური, ვიდრე ჰიტლერული იყო! უბრალოდ, ჰიტლერი თავის განზრახვებში უფრო გულახდილი იყო, ხოლო ესენი, ლიბერალ-ფაშისტები ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიის უზენაესობაზე, გენდერულ თანასწორობაზე ლამაზ ლოზუნგებს ეფარებიან.“ (ალექსანდრე ჭაჭია, 1 მაისი, 2018)

<**საბჭოთა კავშირის რომანტიზება და რუსეთთან დაკავშირებული სენტიმენტები** 27 სტატიაში გამოვლინდა. მათ შორის 2 ეხებოდა სავიზო რეჟიმის აღდგენას.

- „მხოლოდ რუსეთს ძალუძს ჩვენი საერთო ინსტორიის, ჩვენი მამა-პაპათა პატივისა და ღირსების დაცვა! - ალექსანდრე ჭაჭია“ - ამ სათაურით გამოქვეყნდა სტატია 1 მაისს. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის გამოსვლიდან ნაწყვეტში კი ვკითხულობთ: „რისი სწავლება შეუძლია გაყალბებულ ისტორიას?!

ფანტასტიკითა და ინსინუაციებით სავსე ისტორიას?! როგორ ისტორიაზე ჩამოყალიბდება ახალგაზრდა ევროპელთა მსოფლმხედველობა, თუკი მათ არწმუნებენ, რომ ნაციზმი და კომუნიზმი, საბჭოთა კავშირი და ფაშისტური გერმანია, ჰიტლერი და სტალინი, ანტიპოდები მსოფლიო ისტორიაში - თანაბარი სიდიდის ბოროტებაა?! როგორ ისტორიას ისწავლის პოლონელი ან ლიტველი ბიჭუნა, რომელიც ხედავს, როგორ იღებენ საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლს და ამბობენ, რომ ის მტერი, დამპყრობელი, ოკუპანტია?!“ (1 მაისი, 2018)

- რუსეთის ვიზის აღებასთან დაკავშირებულ სირთულეებს მიეძღვნა სტატია, რომელშიც ვკითხულობთ: „დღეს საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის გზა ისევ დაკეტილია, როგორც სააკაშვილის დროს. საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც რუსეთში წასვლა უნდა, დღესაც თავიდანვე გაყალბებისკენ უბიძგებენ: მან რუსეთში ნათესავები ან ნაცნობები უნდა იპოვოს, თუნდაც ასეთები არ ჰყავდეს (!), ანდა რომელიმე ორგანიზაციის მეშვეობით კულტურულ ღონისძიებაზე ან საქმიანი მიზნით ფიქტიური მოწვევა მიიღოს. ამის შემდეგ ორი თვე უნდა ელოდოს რიგს თბილისში რუსეთის საკონსულოში ან ქრთამი მისცეს ზემოხსენებულ რუსეთის თანამემამულეებს, რომლებიც ვიზას და მის ურიგოდ გაფორმებას უზრუნველყოფენ. რა შთაბეჭდილება უნდა შეექმნას ამის შემდეგ ქართველ ახალგაზრდობას რუსეთზე, განსაკუთრებით, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ფონზე?!“ (11 მარტი. 2018)

< **არჩილ ტატუნაშვილის საკითხი** - მედიასაშუალება ცდილობს, წარმოაჩინოს, თითქოს, ანატოლი ბაბილოვი და ვლადიმერ პუტინი საქმის კურსში არ იყვნენ, იმასთან დაკავშირებით, რომ ცხედრის გადმოცემას ქართული მხარე 26 დღის განმავლობაში ელოდა და პროცესის გაჭიანურებას პუტინის თანაშემწეს უკავშირებენ.

- „სურკოვმა განკარგულება გასცა, რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრე ბამდე ცხედარი ქართულიმხარისთვის

არ გადაეცათ, ამავე დროს კი, როგორც ზოგიერთი რუსული წყარო მოწმობს, შემ თხვევას ხელიდან არ უშვებდა, რომ ბიბილოვი რუსეთისუმაღლესი ხელმძღვანე ლობის წინაშე წარმოეჩინა, როგორც „სუსტი ლიდერი, რომელიც რუსეთს პრობლ ემებს უქმნის და ელექტორატში პოპულარობასკარგავს“. მაგრამ საქართველოში ა მ „სამზარეულოში“ ჩახედული არ იყვნენ, პროვოკაციას წამოეგნენ და ხელაღები თ ყველაფერში „რუსი ოკუპანტები“ დაადანაშაულეს, რაც ასევე სურკოვის ინტერ ესებში შედის, რომელიც კულტურულ საუბრებში რუსეთ-
საქართველოს ურთიერთობის აღდგენის თავად იდეისმიმართ უარყოფით დამოკ იდებულებას არ მალავს და ამტკიცებს, რომ საქართველო არასაიმედო პარტნიო რია“ ამავე სტატიაში ვკითხულობთ: „მოსკოვში ძალზე უკმაყოფილო დარჩნენ, რომ ვლადისლავ სურკოვის გამო ვერ შეასრულეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორის და საქართველოს პრემიერ-
მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ექსკლუზიური თხოვნა“ (30 მარტი, 2018)

< „თეთრი ხმაურის მოძრაობის“ მიერ ორგანიზებული აქციისთვის ნეგატიური ელფერის მინიჭება

- „საქართველოში „ნარკომანების რევოლუცია“ მზადდება - ამ სათაურით გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ვკითხულობთ: „მომხდარმა აჩვენა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურესად უარყოფითად ეკიდება ე.წ. „დასავლურ ღირებულებებს“ - ნარკომანიის ლეგალიზაციას, ლგბტ-ს ცხოვრების სტილის პროპაგანდას და „კლუბურ კულტურას“; (15 მაისი, 2018)

< მართლმადიდებელ ეკლესიას საფრთხე ემუქრება - ეს გზავნილი აქაც პოპულარულია.

- „მეუფე იაკობი - საქართველოს პატრიარქობაზე აშშ-ის კანდიდატია - სტატიაში საუბარია იმაზე, თუ როგორ გადაიბირა ამერიკამ მეუფე იაკობი და აიძულა

ზურგი შეექცია რუსეთისთვის. „დახურულ შეხვედრებზე ქართველმა მიტროპოლიტებმა განაცხადეს, რომ „საქართველოს ეკლესია მხარს უჭერს ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და საქართველოში რუსული პროპაგანდა არ უნდა მძლავრობდეს“. (12 თებერვალი, 2018)

< შეტევა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნინო ლომჯარიამ კონსტიტუციაში ქორწინების ცნების, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირის განსაზღვრება გააკრიტიკა და განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ჰომოსექსუალთა სამოქალაქო ქორწინება, (პარტნიორობა) აღიაროს.“ (5 აპრილი, 2018)

„საქინფორმიც“ აქვეყნებს სტატიებს დემოგრაფიული „კატასტროფის“ შესახებ. 9 თებერვალს გამოქვეყნებულ ინტერვიუში, ელიზბარ ჯაველიძე ამბობს: პირდაპირ გაცხადებული პოლიტიკაა, რომ საქართველოში უნდა დარჩეს 800 ათასი ქართველი.“

ძალიან აქტიური იყო, ასევე, იან კელის მისიის ამოწურვის პერიოდში - „საქინფორმი“ ელჩის შეცვლას საკუთარ „დამსახურებადაც“ კი მიიცნევს. განსაკუთრებული აქტივობითა და პროპაგანდისტული გზავნილებით გამოირჩეოდა გამოცემის რედაქტორი- არნო ხიდიბეგაშვილი საკუთარ სვეტებში.

„ალტ-ინფო“

თუ „საქინფორმი“ ძირითადად რუსეთთან ურთიერთობის დათბობას ლობირებდა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე ახორციელებდა შეტევებს, „ალტ-ინფო“ მთავარ სამიზნედ ნარკომომხმარებლებსა და ლგბტ თემს ირჩევს. ექვსთვიანი მონიტორინგის განმავლობაში, კრემლის პროპაგანდისტული მესიჯების შემცველი გამოქვეყნებული 45 სტატიიდან, 24 სწორედ ამ თემებს ეხებოდა. ამ ონლაინგამოცემის გვერდებზეც ვრცელდებოდა „უსუსური

დასავლეთის“, „უძლეველი რუსეთის“, მართლმადიდებლობისა და ქართველობის დაკარგვის საფრთხეებთან დაკავშირებული ნარატივი. საიტზე განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა მიგრაციასთან დაკავშირებულ თემატიკაზეც.

< „კათოლიკე ეპისკოპოსი: საიმიგრაციო კრიზისი წარმოადგენს საერთაშორისო ძალების მიერ მართულ გეგმას, რომელიც ევროპის ქრისტიანული იდენტობის შეცვლაზეა მიმართული“ (10 ივნისი, ალტ-ინფო).

< „კვლევის თანახმად, ამერიკელ მოზარდებში მკვეთრად გაიზარდა ჰომოსექსუალთა და საკუტარ ორიენტაციაშ გაურკვეველთა რაოდენობა. ...ეს შედეგი გასაკვირი არ არის ქვეყანაში, სადაც მთელი ლიბერალური მედია და საგანმანათლებლო სისტემა ლგბტ პირთა ნორმალიზაციის აგრესიულ პროპაგანდას ეწევა“ (3 ივნისი, 2018).

< „ლიბერალები ჩვენგან მოითხოვენ ეთნიკურ სუიციდს, ეროვნული იდენტობის დათმობას და მულტიკულტურული ქვეყნის მშენებლობას მსოფლიოში, სადაც მილიარდობით ნაციონალისტი, რასისტი და ისლამისტი“ (შოთა მარტინენკო, 3 მაისი).

< სახალხო დამცველი: სახელმწიფომ ჰომოსექსუალთა სამოქალაქო ქორწინება (პარტნიორობა) უნდა აღიაროს. ცნობისთვის, სამოქალაქო პარტნიორობის გაფორმება არის იგივე ქორწინება, რომელსაც პროპაგანდისტული მოტივებით, ხალხის უარყოფითი რეაქციის თავიდან ასაცილებლად, უბრალოდ, სხვა სახელი ჰქვია“ (2 აპირილი, 2018).

„ალტ-ინფო“ აქამდე განხილული მედიასაშუალებების მსგავსად, დასავლეთის შესახებ ნეგატიური წარმოდგენის შექმნას ქართველებისთვის „მგრძნობიარე“ რამდენიმე თემასთან შეხებით ცდილობს.

დასკვნა

ექსვსთვიანი მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა ის ძირითადი გზავნილები, რომლებსაც კრემლი საქართველოში საკუთარი მიზნების მისაღწევად ავრცელებს. მონიტორინგის ობიექტი სამივე მედიასაშუალების დღის წესრიგი ერთმანეთს ემთხვევა, მსგავსია გაშუქების ფრეიმებიც. საინტერესოა ისიც, რომ ონლაინგამოცემები, შეიძლება ითქვას, შეფარვის გარეშე ატარებენ რუსულ პოლიტიკას.

ანგარიშის შედეგების მიხედვით, კრემლის პროპაგანდის რამდენიმე ნარატივი გამოვლინდა:

- დასავლეთისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებისადმი უნდობლობის დათესვა და ნიჰილიზმის შექმნა საზოგადოებაში;
- ამერიკის უსუსურად წარმოჩენის მცდელობა;
- დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანების შემდეგ რუსეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვისა და ეკუპირებული ტერიტორიების სამუდამოდ დაკარგვის საფრთხე:
- რუსეთის უალტერნატივობა და საბჭოთა სენტიმენტები;
- დასავლეთის, როგორც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საფრთხის წარმოჩენა;
- დემოგრაფიულ პრობლემებზე აქცენტირება და მისი კატასტროფად წარმოჩენა;
- ქართული იდენტობის დაკარგვის საფრთხე;
- ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების საფრთხე;
- არასამტავრობო ორგანიზაციებთან ბრძოლა;

კვლევის შედეგების ანალიზი გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ, რომ აშშ-თან მიმართებით დომინირებდა აზრი რომ ის ხელყოფს ჩვენს სუვერენიტეტს, ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ვრცელდებოდა სკეპტიციზმი. დასავლეთი წარმოჩენილი იყო ქართული იდენტობისთვის ყოფლად შეუთავსებელ „გარყვნილების ბუდედ“. გამოვლინდა

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის გაუფასურების მცდელობა. კვლავ არ დაუკარგავს აქტუალობა ლგბტ თემატიკას. ვრცელდებოდა გზავნილები, თითქოს დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას, პედოფილიას. და რაც მთავარია, რუსეთი უალტერნატივო ძალადაა წარმოჩენილი.

საყურადღებოა პროპაგანდისტული მედიასაშუალებების ტაქტიკა Ad nauseam - ესაა ერთი და იმავე იდეის განუწყვეტლივ გამეორება. რაც, შესაძლოა იყოს იდეა, ან მარტივი სლოგანი, რომელსაც იმდენად ხშირად იმეორებენ, რომ ადამიანები მას იჯერებენ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ონლაინ გამოცემები ინტენსიურად აქვეყნებენ კრიმინალური დანაშაულებების შესახებ სტატიებს, რომლებიც დასავლეთის ქვეყნებს ეხება.

თუ გავითვალისწინებთ რუსული პროპაგანდის გამოვლინებების მზარდ მაჩვენებლებს, აუცილებელია, კრემლის საინფორმაციო ომთან დაპირისპირების ერთიანი, ეროვნული სტრატეგიის შემუშავება. თუ ხელისუფლება ვერ შეძლებს პროპაგანდისთვის სათანადო წინააღმეგობის გაწევას, შემცირდება ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისადმი მოსახლეობის მხარდაჭერა, რუსეთს მიეცემა საშუალება, გავლენა მოახდინოს სახელმწიფო უსაფრთხოებასა და ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე, ამომრჩეველთა შორის გაიზრდება გაურკვევლობა, რაც საბოლოო ჯამში გავლენას მოახდენს დემოკრატიულ პროცესებზე და აგრეთვე, დაზარალდება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესი.

ვფიქრობ, კვლევის შედეგები საინტერესოა თითოეული მოქალაქისთვის, რადგან საფრთხე, რომ რუსული პროპაგანდის მსხვერპლი აღმოვჩნდეთ, საკმაოდ მაღალია. კვლევა საზოგადოების ინფორმირებასა და მედიაწიგნიერების განვითარებას შეუწყობს ხელს. შედეგები მნიშვნელოვანი იქნება ხელისუფლებისთვისაც, რათა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევის - რუსული საინფორმაციო ომის წინააღმდეგ სტრატეგია დაიგეგმოს. კვლევა დაეხმარება არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, შეიმუშაონ რეკომენდაციები და გაზარდონ საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლაში.

რეკომენდაციები

საქართველოს ტერიტორიის 20 % ოკუპირებულია რუსეთის მიერ. კრემლს სურს საკუთარი გავლენების გაფართოება კავკასიაში, მისი ინტერესის განსაკუთრებულ სფეროს კი, ყოველთვის წარმოადგენდა საქართველო. რუსულ საინფორმაციო ომთან საბრძოლველად, გთავაზობთ რეკომენდაციებს:

< პირველ რიგში, აუცილებელია საკითხის მტკიცედ განსაზღვრა და იმ საფრთხეების აღიარება, რაც რუსულ პროპაგანდას შეიძლება მოჰყვეს;

< გაძლიერდეს კონტრდაზვერვითი სამსახური და გამოვლინდნენ აგენტები;

< აუცილებელია აქტიური მუშაობა რუსული ფულით დაფინანსებული ორგანიზაციების, მედიასაშუალებებისა თუ პოლიტიკური პარტიების გამოსავლენად;

< არსებითია არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა რუსული პროპაგანდის გამოსავლენად და მასთან საბრძოლველად, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით;

< საქართველომ უნდა დაიწყოს საინფორმაციო ომი საინფორმაციო ომის წინააღმდეგ - კრემლის დეზინფორმაციებს ალტერნატიული რეალობის ჩვენებით უნდა ებრძოლოს;

< საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი უნდა გაიზარდოს - ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობების თემების გაშუქება მათ წინააღმდეგ მიმართული კამპანიასთან ბრძოლის საწინდარია;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბილანიშვილი გ. (2018). "რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის გარკვეული ასპექტების თაობაზე". თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

2. ტუღუში, ლ. (2016) "რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში".

3. ჯულუხიძე, გ. (2018) "რუსული პროპაგანდა - მიზნები, ნარატივები და აქტორები".

4. Perse, Elizabeth. (2001) *Media Effects and Society.* London:Lawrence Erlbaum Associates.

5. Samadashvili, Salome. (2015) *Muzzling the Bear, Strategic Defence for Russia's Undeclaired Information War on Europe.* Brussels: Wilfried Martens Centre for European Studies.

6. Lee, Elizabeth. (1939) *The Fine Art of Propaganda*. New York: Harcourt Brace and Company.

7. Rosengren, Karl Erik. (1994) *Media Efects and Beyond.* New York:Routledge.

8. Bryant, Jennings,. David Roskos-Ewoldsen and Joanne Cantor. (2003) *Communication and Emotion.* London: Lawrence Erlbaum Associates.

9. Bernays, Edward L. (1928) *Propaganda.* New york: Horace Liveright.

10. Defleur, Melvin L. (2010) *Mass Communication Theories.* London and New York: Routledge.

11. Bryant, Jennings, and Mary Beth Oliver. (2008) *Media Effects Advances in Theory and Research.* New York and London: Routledge.

12. Bernays, Edward L. (1961) *Crystallizing Public Opinion.* New York: Liveright Publishing Corporation.

13. Vincent, Richard C., and Kaarle Nordenstreng. (1983) *Towards Equity in Global Communication?* New York: Hampton Press.

14. McQuail, Denis. (2010) *McQuail's Mas Communication Theory.* London: SAGE Publications.

15. Asmus, Ronald. (2010) *A Little War That Shook The World Georgia, Russia and The Future Of The West.* New York: St. Martin's Press.

16. Giles, David. (2003)*Media Psychology.* London: Lawrence Erlbaum Associates.

17. Martin, John. (November 1971) "Effectiveness of International Propaganda". The ANNALS of the American Academy of Political and Social Science. Article on-line. Available from https://doi.org/10.1177/000271627139800108 Accessed 15 July 2018.

18. Entman, Robert. (February 2006)"Framing U.S. Coverage of International News: Contrast in Narratives of the KAL and Iran Air Incidents". *Journal of Communication*. Article on-line. Available from https://www.researchgate.net/publication/229461133_Framing_US_Coverage_of_International_News_Contrast_in_Narratives_of_the_KAL_and_Iran_Air_Incidents?enrichId=rgreq-4e082d11fb13a56e4e4d5667defd47be-XXX&enrichSource=Y292ZXJQYWdlOzIyOTQ2MTEzMztBUzoxMDI2NjkxMjEyMjg4MTBAMTQwMTQ4OTYzNDk1Nw%3D%3D&el=1_x_2&_esc=publicationCoverPdf Accessed 15 July 2018.

19. Dyomkin, Denis. "Russia Says Georgia War Stopped NATO Expansion". Newspaper on-line. Available from http://in.reuters.com/article/idINIndia-60645720111121 Accessed 15 July 2018.

20. Centre for Eastern Geopolitical Studies. "What is New in Russia's 2009 National Security Strategy?" Easter Pulse: 2009.

http://www.eesc.lt/uploads/news/id270/Rytu%20pulsas%206%20(21).pdf)

21. White, David. (1950) "The 'Gate Keeper': A Case Study in the Selection of News". Journalism Quarterly. Available on-linehttp://www.aejmc.org/home/wp-content/uploads/2012/09/Journalism-Quarterly-1950-White-383-90.pdf

22. Maxwell E. McCombs and Donald L. Shaw.(Summer 1972) "*The Agenda-Setting Function of Mass Media". Available on-linehttps://www.jstor.org/stable/2747787*

23. *Walton, Douglas N. (1996) Argumentation Schemes for Presumptive Reasoning. New Jersey: Lawrence Erlbaum Associates, Publishers.*

24. *NDI – ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (2017; 2018) "საზოგადოების განწყობა საქართველოში".*

25. *MDF – მედიის განვითარების ფონდი (2014-2015; 2016) "ანტიდასავლური პროპაგანდა".*

26. *MDF – მედიის განვითარების ფონდი (2017) "კრემლის გავლენის ინდექსი".*

27. *"საქართველოს სახელმწიფო სამსახურის უსაფრთხოების ანგარიში". (2017)*

28. *European Parliament resolution (2016) "EU strategic communication to counteract propaganda against it by third parties".*

დანართი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Maia Tchanturidze

Characteristics of Russian propaganda in Georgian online media

Faculty of Social and Political Sciences

Mass Communication and Media Studies

Submitted in fulfillment of the requirements for the master's degree in

Mass Communication and Media Studies

Supervisor: Manana Shamilishvili

Associate professor

Tbilisi

2018